

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1869 (2009) საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები: რეზოლუცია 1648 (2009) – ის განგრძობა

1. საპარლამენტო ასამბლეა ეყრდნობა მის რეზოლუციას 1664 (2009) `საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები: რეზოლუცია 1648 (2009) – ის განგრძობა`.

2. მას სწამს, რომ ევროპის საბჭოს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

3. შესაბამისად, ასამბლეის რეკომენდაციის თანახმად, მინისტრთა კომიტეტმა სრულფასოვნად უნდა გაითვალისწინოს საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ 1857 (2009) რეკომენდაციაში გათვალისწინებული რეკომენდაციები და კერძოდ: განაგრძოს ევროკავშირთან, გაერთიანებულ ერებთან და სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან კავშირები;

ადმოუჩინოს სრული მხარდაჭერა გაეროს მის ძალისხმევაში, რომელიც მიმართულია საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ახალი მანდატის შეთანხმებისკენ;

მიიღოს სამოქმედო გეგმა, რომელიც, კერძოდ, მოიცავს განსაკუთრებულ ღონისძიებებს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სტანდარტების დაცვისა და წახალისებისათვის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და შეისწავლოს, თუ რა საშუალებებით შესწევს უნარი ევროპის საბჭოს, წარმოადგენილ იყოს ამ ორ რეგიონში, იქნება ეს დამოუკიდებელი სტატუსით თუ სხვა საერთაშორისო მისიის ფარგლებში, რომელსაც წარმართავს გაერო თუ სხვა ორგანიზაცია;

სრულფასოვნად დაუჭიროს მხარი და დააფინანსოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის საქმიანობა და პროგრამა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში;

უზრუნველყოს, რათა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ მოხსენებები, რომელთა რეგულარული მომზადება მინისტრთა კომიტეტის მიერ ეთხოვა გენერალურ მდივანს (2009 წლის 11-12 თებერვალი, მოადგილეთა 1048-ე შეხვედრა), სრულად ითვალისწინებდეს როგორც ახლახანს, ასევე ძველად იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარულ საჭიროებებს. გარდა ამისა, სამოხსენებო საქმიანობა უნდა მოიცავდეს ყველა რეგიონს, რომელსაც შეეხო კონფლიქტი საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, ისევე როგორც ჩრ. ოსეთს და ასევე, ახლახანს და ძველად ლტოლვილობაში მოქცეულთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრს ყველა ზემოაღნიშნულ მხარეში;

მიიღოს ინიციატივები იმისათვის, რათა აღდგეს დიალოგი და ნდობა ყველა მხარეს შორის, მათ შორის კონფლიქტის ყველა მხარესა და საერთაშორისო თანამეგობრობას შორის;

მხარი დაუჭიროს სამოქალაქო-საზოგადოებრივ ინიციატივებს, რომელთა ხორცშესხმა მნიშვნელოვანია ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდების გასაძლიერებლად და საზოგადოების გასავითარებლად, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული პრინციპების დაცვის მტკიცე კულტურა ყოფილ კონფლიქტის ზონებში.

2009 წლის 29 აპრილი.

<http://portal.coe.ge/downloads/Resolutions/Rec1869Geo.pdf>